ცნობის ფურცელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 2321 ოთხშაბათი, 12 ნოემბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2321

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“**. ტელეფონი № 372.

წარ. 19, აბონემენტი № 6 ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 13 ნოემბერს, 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

I

გულის თქმა

დრამა 4 მოქმ. რაკშანინისა. თარგმ. ა. ნიკიტინისა.

II

არც აქეთ არც იქით

ვოდ. 1 მოქმ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელი, ნებიერიძე, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად: „ქმართა სკოლა“. რეჟისორი **აკაკი**

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

ოთხშაბათს, 12 ნოემბერს, 1903 წ., წარმოდგენილი იქნება

დემონი

ოპერა 4 მოქმედებად, მუსიკა რუბინშტეინისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი კარტავინა, კარრი, ლელინა; ბ-ნნი: რაისკი, ჯირალდონი, ილიუშჩენკო, ფედოროვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი პოზენი.

ანონსი: 13 ნოემბ. „ფაუსტი“; 14 ნოემბ.—„რუსლან და ლიუდმილა“. ამ ცოტა ხანში გამოსათხოვებელი წარმოდგენა და ბენეფისი ჯირალდონისა. (ნ).

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ჟიჟინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი. კბილისა, 10 ს. 11 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ლ. მ. მოინინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12 1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12 1 ს.

გრ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპეიდა: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, პიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვნაძისა. (წლ.)

ქუთაისში
ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე, საღამოთი 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, ს ახლიქ ანტიპარმაკლიძისა. (20—5.—16)

ქუთაისში

კბილის ექიმი

პ. გ. მახარაშვილი

გადავიდა ნადირაძის სახლში (ბაინდუროვისეულში) კოკოჩაშვილის აფთიაქის პირდაპირ.

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

გამოცდილი

მასწავლებელი,

ფრანგულისა და გერმანულის მცოდნე, **ამზადებს მოსწავლეთ** საშუალო სასწავლებლებისათვის. ადრესი რედაქციაში. (0—13)

ექიმი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათ. ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი № 46. წლ.

გამოცდილი

მასწავლებელი

ამზადებს მოსწავლეთ საშუალო სასწავლებლისათვის. ადრესი „ცნობ. ფურც.“-ს რედაქციაში. (1—2)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობის განკარგულებით შეუდგებიან მუშაობას მთავარ მილის გადასატანად. ამის გამო 12 ნოემბერს საღამოს 9 საათიდან 13 ნოემბრის დილის 6 საათამდე **ქალაქის დაბლობ ადგილებში წყალი არ იქნება.** გამგეობა სთხოვს მცოვრებთ, წინდაწინვე თადარიგი დაიჭირონ და საჭირო წყალი იქონიონ. (1—5.—1)

საზღვარ-გარედ

რასა სწერენ იაპონური გაზეთები

იაპონურ გაზეთებს რუსეთისა, მანჯურიისა და კორეის გარდა ყველაფერი გადაავიწყდათ. აღარც შინაური პოლიტიკა, აღარც სახელმწიფოებთან დამოკიდებულება და აღარც სხვა რამ ამ გაზეთებს არ ახსოვთ. რუსეთი და რუსეთთან ომი—აი, რაზე სწერენ და რა აკერია ყველას პირზე. ზოგი ემუქრება რუსეთს, ზოგი მომავალ ომის ამბებსა სწერს, ზოგი კიდევ სიფრთხილეს იჩენს და არიგებს მთავრობას, ერიდე ომსაო. ყველასკი აშკარად ეტყობა სიძულილი ძლიერ მოპირდაპირის მიმართ. აი აზრი ზოგიერთ იაპონურ გაზეთისა. „ნაგასაკი შინ ბუნ“-ი სწერს: „ხმები მომავალ ომის შესახებ რუსეთსა და იაპონიას შორის დაცხრომის ნაცვლად უფრო ვრცელდება. ეს ხმები ჩვენის სახელმწიფოს ყველა ქალაქსა და სოფელს მოედო, ყველანი დაინტერესდნენ. ჩვენი ერი მოწყურებულია რუსეთთან ომს. ყველას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, მხარი მისცეს სახელმწიფოსა და ერის კანონიერ მოთხოვნილებებს. ამ სურვილმა რუსეთთან გამკლავებისამ აღაფრთოვანა ხალხის ოცნება, რის გამო მცირე რამ მოვლენა, როგორც, მაგალითად, ესკადრის მანევრები ან ჯარის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა, ომის დაწყების ნიშნად მიაჩნია. ჩვენის მხრივ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ არც იაპონია და არც რუსეთი ომის მოსურნე არ არის და არც ჯარსა ჰგზავნიან ომის დასაწყებად. ომი უდიდესი საკითხია ჩვენის სახელმწიფოსათვის. იაპონიის ბედი დაკავშირებულია ომთან, ამიტომ დიდი, ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო. ჩვენ უარს არა ვყოფთ, რომ უმრავლესობა მართალია: დაჰკრავს საათი, როდესაც ორი მოწინააღმდეგე, რუსეთი და იაპონია, დაიტაკებიან და როდესაც საქმე უსათუოდ იარაღით უნდა გადასწყდეს. მაგრამ ჩვენი აზრი ის არის, რომ ეს დრო და საათი ჯერ არ დამდგარა.“ მეორე იაპონური გაზეთი „ჟიჟი“ ამბობს: „მეტად უცნაურია რუსეთის საქციელი. რუსეთი ამ ჟამად იმ კაცსა ჰგავს, რომელსაც მოწინააღმდეგესთან სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყება უნდა და ხელში ამოღებული მახვილი უჭირავს. ჩვენ მოხარული ვიქნებით, თუ საქმე მორიგებით გათავდება, მაგრამ რუსეთს უნდა ახსოვდეს, რომ იაპონია არასოდეს არ დასთანხმდება კომპრომისებს და რომ იმასაც მოთმინების საზღვარი აქვს. იაპონია ექვსი თვე იცდიდა და ესეც საკმაოა. ეხლა ჩვენმა მთავრობამ ძალა უნდა მოიკრიბოს და ერთის დაკვრით ბოლო მოუღოს კრიზისსაც და ამ გამოურკვეველ მოლოდინსაც. ერის აზრი კარგა ხანია გამოირკვა: იგი საქმის გადაწყვეტასა და გათავებას თხოულობს“. გაზეთი „ნიპონი“ უდიერად იხსენიებს იაპონიის დიპლომატებს: ჭკუა და გამჭრიახობა ვერ გამოიჩინეს, რის გამო რუსეთის დიპლომატებმა ყინულზე გააცურესო. დასასრულ გაზეთი ამბობს, რას უყურებენ ჯარისა და ფლოტის უფროსნი, რატომ ხმას არ ამოიღებენ და პირდაპირ საქმეს არ შეუდგებიანო.

ინგლისის ტრედ-უნიონების მანიფესტი

ტრედ-უნიონების კონგრესის საპარლამენტო კომიტეტმა მანიფესტი გამოსცა წინააღმდეგ ჩემბერლენისა, რომელიც, როგორც ჩვენ მკითხველებს ეხსომებათ, ტრედ-უნიონებსა სთხოვდა, მხარი დაუჭირეთ ჩემ პროტექციონულ პოლიტიკასაო. მანიფესტში სწერია: „თქვენ (ტრედ-უნიონებმა) სასტიკი ბრძოლა უნდა გაუწიოთ პროტექციონიზმს, ამ სენს, რომელსაც ჩემბერლენი ავრცელებს. ჩვენი მამები და დედები შიმშილით იხოცებოდნენ მაშინ, როდესაც ბაჟი ედო ყველაფერს, რაც-კი ცხოვრებისათვის არის საჭირო. ასე იკრიბებოდა ჩვენის სისხლითა და ოფლით შენაძენი ფული და მერე ეს ფული სამხედრო საქმეებსა და მდიდართა პენსიებზე იხარჯებოდა. მუშათა კავშირების კონგრესმა გაჰკიცხა ჩემბერლენის ის წინადადება, რომ პურს ბაჟი დაედოს. ესევე საზიზღარი ბაჟი გაჰკიცხეს ორ მილიონ მუშის წარმომადგენლებმა—კოოპერატორებმა და მთა-მაღნის მუშებმა. ჩემბერლენს შეუძლიან იამაყოს იმით, რომ „შავფეხებიანნი“ (ამ სახელით იმ მუშებს ეძახიან, რომელნიც გაფიცვას არღვევენ) მხარს უჭერენ. საბედნიეროდ, მშრომელ ინგლისელებს ხმა აქვთ არჩევანებზე, უამისოდ-კი ვერც ერთი კაპიტალისტი ვერ შევა საზოგადოებათა პალატაში. შეძლებას ნუ მისცემთ კაპიტალისტებს, პირიდან ლუკმა პური გამოგტაცონ“.

ხანგრძლივი გაფიცვა

ამ სამის წლის წინად გაიფიცნენ ის მუშები, რომელნიც ვიფეზდში (ინგლისს) ლორდ პენრინის ქვის სატეხებში მუშაობდნენ. გაფიცვა ეს არის ეხლა დამთავრდა. ბევრმა გაფიცულმა სამუშაო სხვაგან იშოვნა, განსაკუთრებით სამხრეთ უელსში. ამას წინად ვიფეზდში გაფიცულ ქვის მთლელთა მიტინგი მოხდა. მიტინგმა მაშინ გადასწყვიტა გაფიცვის გათავება, როდესაც ამხანაგებისაგან დეპეშა მოვიდა, ადგილები ვიშოვნეთო.

პრუსიის პალატის დეპუტატთა არჩევნები

დეპეშებიდან იციან მკითხველებმა, რომ პრუსიაში დამთავრდა დეპუტატთა არჩევნები. ისიც იციან, რომ დეპუტატად არც ერთი სოციალ-დემოკრატი არ მოჰყვა. ამისი მიზეზი განსაკუთრებული საარჩევნო სისტემაა, რომლის მეოხებითაც მართვა-გამგეობის საქმე მთლად იუნკრებისა და აგრარიების ხელშია. ამ არჩევნების დროს სოციალ-დემოკრატებმა მოისურვეს ერთისა ან ორის დეპუტატის არჩევა, მაგრამ ვერ შესძლეს. კონსერვატორი წინად იყო 144, ეხლა აარჩიეს 146, ცენტრს ჰყავდა 100 დეპ., ეხლა — 97, თავისუფალ-კონსერვატიულ ფრაქციას წინად 58, ეხლა 54, ნაციონალ-ლიბერალებს წინად 75, ეხლა 79.

ახალი რესპუბლიკა

ეს ახალი რესპუბლიკა, როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, პანამაა, რომელიც კოლუმბიას ჩამოშორდა და დამოუკიდებელ ცხოვრებას შეუდგა. ახალი რესპუბლიკა სცდილობს, სხვა სახელმწიფოთაც სცნონ დამოუკიდებელ რესპუბლიკად. ამ აზრით, ვაშინგტონში მყოფმა პანამის წარმომადგენელმა შესაფერის ნოტით მიჰმართა სახელმწიფოთა წარმომადგენელთ. ნოტაში მოთხრობილია მოკლე ისტორია კოლუმბიის რესპუბლიკის დაარსებისა. როგორც ვიცით, პანამა ესპანიას ჩამოშორდა და კოლუმბიას შეუერთდა. პანამა დიდ სარგებლობას მოელოდა ამ შეერთებისაგან, მაგრამ ზარალის მეტი ვერა ნახა-რა. კოლუმბიის მთავრობა თითქმის განგებ სცდილობდა, პანამისთვის ახალი სამშობლო შეეძულებინა. პანამის ჩამოშორებას ზოგნი შეერთებულ შტატების ინტრიგას აბრალებენ, ნამდვილად-კი ეს მოვლენა ისტორიულ მსვლელობისა და კოლუმბიის მთავრობის ყოფა-ქცევის შედეგიაო, ამბობენ მცოდნე კაცები. კოლუმბიამ პანამის საქმის გამო თავისს მხრივ სამხრეთ-ამერიკის წვრილ რესპუბლიკებს მიჰმართა პრეზიდენტმა, აცნობა რა რესპუბლიკებს პანამის განცალკევების ამბავი, დახმარება და შველა სთხოვა.

ემბერების მეგობარნი

„ფიგარო“-ში დაბეჭდილია იმათი სია, ვისი სახელი და გვარიც ემბერების საქმის მრავალ საბუთებშია მოხსენებული. შეჰხვდებით ამ სიაში პრეზიდენტებისა, მინისტრებისა, სენატორებისა და დეპუტატების სახელებსაც. ბევრნი დაახლოვებულნი ყოფილან ფურმე „გამოჩენილ“ ემბერებთან. ასეთები იყვნენ, მაგალითად, განსვენებული პრეზიდენტი ფელიქს ფორი, მინისტრებად ნამყოფნი ფრეისინე, ტირარი, რიკარდო, გენერალი ბულანჟე, პოლიციის პრეფექტი ლეპინი (ამას ემბერებისაგან ფულიც-კი უსესხნია), პალატის პრეზიდენტად ნამყოფი დეშანელი, რომელიც ევა ემბერის შერთვასაც-კი სცდილობდა თურმე, რესპუბლიკის პრეზიდენტად ნამყოფი კაზიმირ პერიე და მრავალი სხვა.

ახალი ამბავი

◆ კავკასიის მთავარ-მართებლის **თავ. გ. ს. გოლიცინის** ჯანმრთელობის ბიულეტენი: „მისმა ბრწყინვალებამ ღამე კარგათ გაატარა. სიცხე დილით 37,5 ჰქონდა, დღისით 38° და საღამოთი 38,5. მაჯის ცემა 72. თვითგრძნობიერება უკეთესი აქვს, მაგრამ სისუსტე მოემატა. ანთება თანდათან ჰკარგავს თავის ძალას“. ხელს აწერენ: მალინინი, ჩუდნოვსკი, რუდენკო და გალომსკი.

11 ნოემბერს, საღამოს 8 ს.

◆ როგორც ამას წინადაც ვწერდით, ტფილისში ხმა გავრცელდა, რომ **გურია-სამეგრელოს** საეპარქიო კათედრა ბათუმში გადადისო ფოთიდან. სინოდის განკარგულებით, ქართლ-კახეთ-იმერეთის სასინოდო კონტორამ საეპარქიო სკოლების ოლქის

ზედამხედველს მიანდო ბათუმში ჩავიდეს და მოელაპარაკოს ბათუმის ქალაქის თვითმმართველობას და საოლქო მთავრობას ბათუმში საცხოვრებელ სახლის დათმობის შესახებ. ამასთან გურია-სამეგრელოს ეპარქიას ჩამოაცილიან გურიას და იმერეთის ეპარქიას შეუერთებენ.

◆ ამას წინად, როგორც გაზეთებშიაც იყო აღნიშნული, **სოხუმის საეპარქიო** მთავრობამ შუამდგომლობა აღძრა უწმ. სინოდის წინაშე სოხუმის ეპარქიის საქართველოს საექსარხოსოდან გამოყოფის და დამოუკიდებელ ეპარქიად გადაქმნის შესახებ. როგორც ნამდვილად გავიგეთ, უმაღლეს სასულიერო მთავრობას უყურადღებოდ დაუტოვებია ეს შუამდგომლობა.

◆ გუშინ, 11 ნოემბერს, ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანმა თავ. ვ. ს. მიქელაძემ გადასცა გამგეობას მოხსენება ქალაქის შეუძლებელ მცხოვრებთათვის **უფასო და მცირე ფასიან სადგომების** აგების შესახებ. მოურავმა თავ. მიქელაძის მოხსენება გადასცა გამგეობის მე-4 განყოფილებას საჭირო ცნობების შესაკრებად ამ საინტერესო საკითხის შესახებ.

◆ მომავალ კვირაში მოხდება ტფილისის **ხელოსანთა უსტაბაშებისა და დეპუტატების კრება.** კრებამ უნდა განიხილოს ანგარიში ხელოსანთა მოურავის რაფაელოვის მოქმედების შესახებ არჩევიდან დღემდე. კრება განიხილავს აგრეთვე 1904 წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვას. მოხდება აგრეთვე არჩევნები ხელოსანთა მოურავისა, რადგან რაფაელოვს სამსახურის ვადა უკვე გაუთავდა.

◆ ამ დღეებში ტფილისის სახელოსნო გამგეობამ სთხოვა ხელოსნების ამქართა უსტაბაშებს, გაუგზავნონ გამგეობას სიები იმ შეგირდებისა და **ქარგლებისა**, რომელნიც მუშაობენ თითოეულ ამქრის სახელოსნოებში. ჰფიქრობენ, მომავალ გაზაფხულზე გამოსცადონ ქარგლები და შეგირდები და გაიგონ, რამდენად არიან მომზადებულნი. შემდეგ მოწმობები დაურიგდებათ.

◆ ორშაბათს, 10 ნოემბერს, ნაშუალამევის 1 საათსა და 40 წუთზე რკინის გზის ტფილისის სადგურზე მატარებელი № 249 სადგურში შევიდა, თუმცა სემაფორი დახურული იყო, და **დაეჯახა დატვირთულ მატარებელს** № 245. დაიმსხვრა ოთხი ვაგონი და ოთხი ნავთის ცისტერნი, ხოლო დაზიანდა 22 ცისტერნი. მსუბუქად დაშავდა მემანქანის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი კალმახიძე.

◆ 9 ნოემბრისათვის დანიშნული კრება ტფილისის **ნოქართა საზოგადოებისა** არ შესდგა, წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო.

◆ როგორც ჭიათურიდან გვატყობინებენ, **შავის-ქვის წარმოება** შეჩერებულია თურმე და მაღაროებშიაც მუშაობა არ არის. უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ქვას საზღვარ-გარედ ნაკლებად თხოულობენ.

◆ როგორცა ვწერდით, მუშაობა **დარკვეთ-საჩხერის რკინის გზის შტოს** გასაყვანად სრულიად დამთავრდა. ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა შუამდგომლობა აღძრა გზათა მინისტრის წინაშე, მატარებლების მიმოსვლის ნება დართოს პირველ დეკემბრიდან.

◆ **თიანეთის მაზრაში** შესდგა განსაკუთრებული საამშენებლო კომიტეტი, რომელმაც სასოფლო გამგეობებისათვის, ზოგგან სკოლებისათვისაც, ახალი შენობები უნდა აგოს. კომიტეტში არიან მაზრის უფროსი, მომრიგებელი შუამავალი, ბოქაული, მამასახლისი და საზოგადოების ორი წარმომადგენელი.

◆ 8 ნოემბერს ტფილისის ქალაქის გამგეობისა და საფინანსო კომისიის შეერთებულმა სხდომამ გადაათვალიერა ქალაქის **შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა,** 1904 წლისთვის ნავარაუდევი. შეერთებულმა სხდომამ მცირე ცვლილების შემდეგ საბოლოოდ შეადგინა აღრიცხვა. შემოსავალი ნავარაუდევია, 1,506,000 მან., ხარჯიც ამდენი.

◆ 9 ნოემბერს მოხდა **სომხურ დრამატიულ საზოგადოების** წლიური კრება. კრებამ დაამტკიცა ანგარიში და ხარჯთ-აღრიცხვა. როგორც ანგარიშიდანა სჩანს, წარსულ სეზონში საზოგადოებას გაუმართავს 34 წარმოდგენა. შემოსავალი ამ წარმოდგენებისა ყოფილა 15,095 მან. 78 კაპ. (441 მან. თითო წარმოდგენა). დაუხარჯნიათ 20,971 მან. 19 კ. აქედან არტისტების ჯამაგირებად 10,001 მან. 71 კ. ამრიგად, საზოგადოებას 5,875 მ. 41 კ. დეფიციტი მოელის, რაიცა დაუფარავს ფონდიდან და სხვა წყაროებიდან. ამავე კრებაზე მოხდა გამგეობის ორის წევრის არჩევანი. ვადა გაუვიდათ ი. თ. ტიგრანოვსა და ვ. მ. არწრუნის. კრებამ პირველი ხელ-ახლა აარჩია ერთხმად. რადგან მეორემ უარი განაცხადა, აარჩია ა. აგარონიანი.

◆ გუშინ, 11 ნოემბერს, ტფილისის ქუჩებისა და მოედნების დამგველმა **მუშებმა** სთხოვეს ტფილისის ქალაქის გამგეობას, მიუმატოს იმათ დღიური ქირა. აქამდე თითოს 50 კაპ. ეძლეოდა.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობას აზრადა აქვს დააწესოს **ქალაქის იურისკონსულტის** მეორე თანაშემწის თანამდებობა. იურისკონსულტი და იმისი ერთი თანაშემწე ამ ჟამად საქმეებს ვერ ასდიან თურმე.

◆ ხვალისთვის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში დანიშნულია კრება ტფილისის მოქალაქეთა რწმუნებულებისა.

ტფილისის ქალაქის საბჭო

10 **ნოემბერი**

წინანდელმა სხდომამ გადასდო კნ. ბებუთოვის სათხოვარის გამო გადაწყვეტილება. მკითხველებს უნდა ახსოვდეს, რომ კნ. ბებუთოვის სახლი—10 ოთახი—ქალაქმა დაიქირავა სააუქციონო დარბაზის მოსათავსებლად. შარშან ქალაქს ძალიან გაუჭირდა სოლოლაკის სკოლისათვის ბინის შოვნა და დროებით ამ სახლში მოათავსა. წელს ვადა გაუთავდა კნ. ბებუთოვის სახლის დაქირავებისა და ქალაქმა ახალ ვადით აღარ აიღო ეს სახლი, რადგან სააუქციონო დარბაზისათვის მოუხერხებელ ადგილას აღმოჩნდა, ქალაქი-კი დიდ ფასს (120 თუმანს) იხდიდა წელიწადში. ეხლა კნეინა სახლის პატრონი სთხოვდა ქალაქს: ვინაიდან ქალაქმა განსაკუთრებით სააუქციონო დარბაზისათვის დაიქირავა ჩემი სახლი, იქ-კი ამავე დროს სკოლაც იყო მოთავსებული და ამ გარემოებით მე შევიწროებული ვიყავი, რადგან სკოლის იქ ყოფნის დროს დანარჩენ სადგომებს არავინ არ ქირაობდა ჩემ სახლში, გთხოვთ ზარალი აღმიდგინოთო. კნეინა ითხოვდა 40 თუმანს. საბჭომ შეიწყნარა კნეინას სათხოვარი.

დანარჩენი დრო საბჭომ მოანდომა საყასბოების ახლო ბაკების აშენების გარჩევასა და იმ არე-მარეში ქალაქის ადგილების ნაჭრებად დაყოფასა და იჯარით გაცემას. ეს საკითხი ჯერ კიდევ 1900 წლის 16 თებერვალს აღძრავს მაშინდელს წევრს გამგეობისას თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკის, რომელსაც წარუდგენია გამგეობისათვის გეგმა: ადგილები უნდა 93 ნაჭრად დაეყოფილიყო, აქედან 69 ნაჭერი სამოსახლო ადგილებად უნდა ექციათ და 24 სავაჭრო სახლების მოსათავსებლად. იმავე წლის 1-ლ მარტს გამგეობამ განიხილა ეს საკითხი და დაადგინა: 1) სასურველია ნაჭრებად დაყოფილი სამოსახლო და სავაჭრო ადგილები ქალაქის ბაკების მიდამოებში ეხლავე იჯარით გაიცესო; 2) სავაჭრო ადგილები უთუოდ ვაჭრობით გაიცეს და სამოსახლო-კი: 1-ლ რიგობისა სამ მაურად საჟენი, დანარჩენი—ორ მაურად, ხოლო კუთხის ადგილები მაურით მეტ ფასშიო; 3) ადგილების იჯარის ვადა 24 წელიწადი იქმნეს, მაგრამ ისე-კი, რომ ყოველ ექვსის წლის შემდეგ საიჯარო ფასს 20% მიუმატოსო; სადუქნე ადგილებიც 10-ის წლით გაიცეს და სხვისათვის გადაცემა არ შეეძლოს მოიჯარადრესო; 4) ვისაც შიგა ქალაქში საკუთარი მიწა აქვს—იმას იჯარით არ მიეცეს ამ ახალ ადგილებშიო; იჯარით აღების უფლება ყველას ექმნება, მაგრამ ტფილისის მკვიდრს უპირატესობა უნდა მიეცეს შემოხიზნულის წინაშეო; თუ ერთ ადგილს რამდენიმე მსურველი გამოუჩნდა, ადგილი წილის ყრით მიეცემაო; ერთი ნაჭერის მეტი არ შეუძლია აიღოს მოიჯარადრემაო და 5) მოიჯარადრე ვალდებული იქმნება ორის თვის განმავლობაში ადგილი შეღობოს და ორის წლის განმავლობაში-კი შენობაც აგოს, თუნდ ერთი ოთახი.

12 ივნისს საბჭომ ცალკე კომისია აარჩია ამ საკითხის დაწვრილებით შესასწავლად, სამაგალითო ბაკების გეგმისა და ხარჯ-აღრიცხვის შესადგენათ. რამდენისამე ხნის შემდეგ ტფილისის გუბერნატორიც ჩაერია ამ საქმეში: საქონლის ჭირი ვრცელდება, ადვილად შესაძლებელია ქალაქის მცხოვრებთა და სოფლებიდან ქალაქში შემოსულ საქონელსაც ჭირი დაერიოს, ამიტომ ქალაქმა დაუყოვნებლივ უნდა იზრუნოს საკლავ საქონლისათვის ბაკების აშენებაზედაო. გახშირდა გამგეობისა და 12 ივნისს არჩეულ კომისიის მუშაობა. ტეხნიკოსმა ახნაზაროვმა გეგმა შეადგინა 56 ათას მანეთის ღირებულობის ბაკებისა, სადაც 510 სული საქონელი მოთავსდებაო. კომისიამ ეს გეგმა იძვირა და თვითონ საკმარისად სცნო 20 ათას მანეთის დახარჯვა ამ საქმეზე 300-ის სულის საქონლისათვის ბაკების ასაგებად.

წლეულ იანვარს საფინანსო კომისიასაც მიუყვია ხელი ამ საკითხისათვის: მცირე კომისია შეუდგენია ა. ს. ბაბოვის თავმჯდომარეობით ხმ. ა. გ. ჯაბადარისა და ა. ი. ფლორენსკისაგან ბაკების აგების საქმის დაწვრილებით შესასწავლად.

ამ კომისიის დავალებით ტეხნიკოსს ახნაზაროვს ხელ-მეორედ შეუსწორებია თავისი გეგმა და ხარჯი დაუყვანებია 46.800 მანეთზე.

გუშინწინდელ სხდომას გამგეობამ მთლად მოახსენა ამ საქმის ვითარება-მდგომარეობა და გამოაცხადა: ჩვენ იმ აზრისა ვართ, ქალაქის საყასბოებთან ქალაქის ადგილები ნაჭრებად დანაწილდეს და იმ რიგად გაიცეს იჯარით, როგორც ეს გამგეობამ 1900 წლის 1-ლ მარტს დაადგინაო (ზემოთაა აღნიშნული). ბაკების აშენების შესახებ: საბჭოს მიერ არჩეულ კომისიის დადგენილების თანახმად გადაიდოს 20 ათასი მანეთი იმ თანხიდან, რომელიც საყასბოს ასაგებად გვაქვს ნასესხები, და ეხლავე შევუდგეთ ბაკების აგებასაო.

დიდ ხანს გასტანს ამაზე კამათმა. კარგად დასაბუთებულად ამტკიცებდნენ ხმოსანნი ვაწაძე და ხატისოვი, რომ სამოსახლო ადგილების გაცემას ნუ ავუჩქარდებით, რადგან ჩვენში მიღებულის წესით ადგილების გაცემა დახმარება კი არა, სწორედ ხელის შეშლაა ღარიბის მკვიდრისათვისაო: უკეთესი იქმნება ქალაქმა საუკეთესო გეგმით იაფ-ფასიანი სახლები აგოს და ღარიბი ხალხი შიგ მოათავსოსო. ამ საკითხმა ზოგი ცნობების წარმოდგენა მოითხოვა, რომელიც გამგეობას ხელთ არა ჰქონდა და ამიტომ გადასდეს შემდეგ სხდომისათვის. ბაკების შესახებ-კი საბჭომ საფინანსო კომისიის აზრი მოიწონა და დაადგინა: დაუყოვნებლივ შეუდგეს ქალაქი საუკეთესო ბაკების აგებას იმ გეგმით, რომლის განსახორციელებლად ტეხნიკოსს ახნაზაროვს 46.800 მანეთის ხარჯი აქვს ნაანგარიშევი; ეს ფული იმ ფულიდან დაიხარჯოს, რომელიც საუკეთესო საყასბოს ასაგებად აქვს ქალაქს ნასესხები და მთლად არის შენახული.

შინ და გარედ

33.

სიამოვნებით მივეგებე „კვალი"-ს აღორძინებას. ეს გაზეთი მოწინავე და პატიოსან ქართველ ახალგაზრდობის ერთის ნაწილის ორგანოა, რომელსაც დიდი ამაგი მიუძღვის ჩვენის ქვეყნის თვითცნობიერების განვითარების საქმეში. დიდათ და დიდათ საწყენი იქნებოდა, რომ ჩვენის ერის მშრომელ უმრავლესობის ინტერესების გულწრფელი დამცველი ორგანო სამუდამოთ მიძინებულიყო. მას თავისი საპატიო საქმე აქვს, თავისი კეთილი მიზანი და დანიშნულება; იმედი მაქვს, გაზეთი დღეგრძელ იქნება და წინანდებურის მხნეობითა და გულწრფელობით ემსახურება ერის მოწინავე ელემენტს.

„ცნ. ფურცელს"-ს ბევრჯერ ჰქონია შემთხვევა, რამდენადაც შესაძლებელი იყო, გამოერკვია თავისი იდეიური სიახლოვე ამ გაზეთთან, გამოერკვია, რომ მასთან ერთად „ცნ. ფურცელსაც" სწამს „ბრწყინვალე მომავალი, სადაც ისპობა ყოველგვარი უკანონობა და ძალმომრეობა, სადაც დაჩაგვრას და გაყვლეფას ადგილი არ ექნება"; ჩვენ გაზეთსაც სწამს, რომ მისი იდეალების ერთად-ერთი განმახორციელებელი ერის მშრომელი ელემენტია.

ეს იდეიური სიახლოვე არ გვიშლიდა ჩვენ ბევრჯელ ცხარედ გამოვკამათებოდით „კვალს", რათა აღგვენიშნა ან მისი ცალმხრივობა აზროვნებაში ან შეცდომა ჩვენის ცხოვრების ამა თუ იმ ფაქტის ახსნაში. ჩვენის აზრით, გატაცებულ ახალგაზდათა სწრაფ მუშაობაში ცალმხრივობაცა და შეცდომაც ბევრი იყო, რამაც, საბედნიეროდ, არ დაუშალა გაზეთს სავსებით გამოერკვია თავისი მიმართულება და დიდი სამსახურიც გაეწია ხალხისათვის...

დღესაც მინდა ორიოდე უხერხულობა აღვნიშნო აღორძინებულ „კვალი"-ს პირველ ნომერში; მინდა აღვნიშნო იმიტომ რომ ეს „უხერხული" აზრები დამახასიათებელნი არიან გატაცებული ახალგაზრდობის აზროვნების ცალმხრივობისა.

გაზეთის „შინაური მიმომხილველი" ეხება ქართულ თეატრსაც და, სხვათა შორის, სწერს: „არის ნაწილი და ძალიან დიდი ნაწილი ქართველობისა, რომელსაც ვერ აკმაყოფილებს ვერც გაცვეთილი პატრიოტიზმი, ვერც „სამშობლოს" და ქართული ენის ყვირილი. მისი იდეალი საკაცობრიო იდეალია, ის ამ იდეალით სცოცხლობს, ამით საზრდოობს, ამით იმედოვნებს. აწმყო მას გველივით ეზიზღება, წარსული ჭირივით ეჯავრება, ის იცქირება ბრწყინვალე მომავლისაკენ"... სრულიად ვეთანხმებით ავტორს, რომ ჩვენის თეატრის რეპერტუარი ერთობ მოძველდა, რომ ჩვენი პრიმიტიული ისტორიული დრამები ვეღარ აკმაყოფილებენ თანამედროვე მოთხოვნილებას, რომ „გაცვეთილი პატრიოტიზმი" აღარ უნდა მეფობდეს ჩვენს თეატრში. ამის შესახებ ჩვენ გაზეთში ბოლო ხანებშიაც ბევრი რამ ითქვა, გავახსენებთ თუნდ „თავისუფალ მონის" პრინციპიალურ წერილებს, რომელშიაც იგივე აზრი ნათლად და მედგრად იყო გატარებული.

მაგრამ, მითხარით ერთი: რა შუაშია აქ ჩვენი წარსული? განა ასე ადვილად ხელწასაპოტინებელია ერის წარსული? წარსული ჭირივით გვეჯავრებაო, ამბობენ ხალხის სახელით ქართულ გაზეთის ხელმძღვანელნი. მე მგონია, ეს მეტის-მეტი სითამამეა და ხალხის (ქართველობის ძალიან დიდის ნაწილის) ხსენება აქ უადგილო იყო. წარმოსადგენია განა, რომ გერმანელმა, ფრანგმა ან სხვა რომელმამე ევროპიელმა, თუნდ უკიდურეს დემოკრატმა, სთქვას—ჩემის ერის წარსული ჭირივით მეჯავრებაო? მესმის, ვსთქვა: მეჯავრება ბატონ-ყმობა, დესპოტია და, საზოგადოდ, სხვა ფორმები წარსულის მოუწყობლობისა, ხოლო მთელის წარსულის უარ-ყოფა ეს ხომ ხალხის უარყოფაც იქმნება?! ვისაც ხალხი რეალურის სიყვარულით უყვარს და არა განყენებულისა, ის როგორ იტყვის, ამ ხალხის წარსული მეჯავრებაო?! განა ჩვენ წარსულში ბრძოლა არ იყო ეროვნებისა და იმის კულტურის დაცვისათვის? განა ერი არ მიისწრაფოდა უკეთეს მომავლისაკენ და არ იბრძოდა? სხვა რომ არა ვსთქვათ-რა, ეს წარსული რომ არ ყოფილიყო თავის ბრძოლით ეროვნების არსებობისათვის, „ენაზე ყვირილით" და სხვა ამგვარით, „კვალი"-ს სახსენებელიც ხომ არ იქმნებოდა დედა-მიწის ზურგზე?!. მეტყვიან, გერმანელი და ფრანგი დემოკრატები ვერ შეიჯავრებენ თავის წარსულს, რადგან იმ წარსულში ბრწყინვალეც ბევრი რამ არისო. მაგრამ ჩვენს წარსულშიაც იყო ისეთი რამე, რაც აბუჩად ასაგდები არ არის და რასაც „კვალელებიც" ვერ დაიწუნებენ... ჩემის აზრით, შეცოდებაა, როდესაც ქართული გაზეთი ასე ფუქსავატად წარმოისვრის რიხიან სიტყვას ეროვნულ არსებობის შესახებ წარსულსა თუ აწმყოში,—შეცოდებაა, რადგან ამგვარი „ცალმხრივი აზროვნება" ხელს უწყობს ხალხის თვითცნობიერების დასუსტებას.

ცოტა არ იყოს, ამგვარისავე მნიშვნელობისაა ის მეორე შეცდომაც, რომელიც მინდა აღვნიშნო იმავე „შინაურ მიმოხილვა"-ში. ავტორი ამბობს: ქართველობის „მეორე ჯგუფს სწამს, რომ სცენა, თეატრი რომელიმე ერის კუთვნილება არ არის, ის მთელის კაცობრიობის ჭკუა-გონების ნაყოფია. როგორც არ არსებობს ქართული, რუსული, ფრანგული, ნემეცური (გერმანული, დაიჩური?) მეცნიერება, ისე არც ქართული თეატრი უნდა არსებობდეს, არც რუსული, არც ფრანგული"... არ მესმის რას ამბობს ბ. შინაური მიმომხილველი: აქ აზრების არევდარევა უნდა იყოს. ჩემის ფიქრით, არ უნდა არსებობდეს და არც არსებობს რუსული, გერმანული, ფრანგული ხელოვნება, ისე როგორც არ არსებობს ეროვნული მეცნიერება; ხოლო რუსული, ქართული, საზოგადოდ, ეროვნული თეატრი არსებობს და კიდევაც უნდა არსებობდეს. ხელოვნება საერთოა, კაცობრიობის ჭკუა-გონების ნაყოფი, მაგრამ ეს სრულიადაც არ მოასწავებს ეროვნულ თეატრის არ არსებობას, სადაც ერის თავისებურობას—ისტორიულსა თუ კულტურულს—თავისი განსაკუთრებული ალაგი უნდა ეჭიროს.

გან

P. S. ჩემმა საუბარმა ქალაქის გამგეობის წევრის არჩევის შესახებ მითქმა-მოთქმა და

ეროვნული

პოლემიკა გამოიწვია; ბოლოს გამოდის თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, თავმჯდომარე იმ წრისა, რომელსაც ვერაგობა დავწამე; ბ. არღუთინსკის წერილს მკითხველი ქვემოდ იხილავს; ვბეჭდავთ მას ყოველ მხრიდან სიმართლის გამოსარკვევად. ჩემის მხრით უნდა ვთქვა კიდევ შემდეგი: ვსარგებლობდი იმ ცნობებით, რომელიც ზოგიერთ ხმოსნებმა და, საზოგადოდ, ქალაქის საქმეებთან ახლო მდგომ პირებმა მომაწოდეს. რასაკვირველია, არავითარი ნება არა მაქვს ეჭვი შევიტანო წრის თავმჯდომარის მიერ გამოქვეყნებულ ფაქტებში, მაგრამ ის-კი მაინც უნდა ვთქვა, რომ წრეს ზნეობრივი უფლება არა ჰქონდა მხარი არ დაეჭირა იმისათვის, ვისაც მის კრებაზე ხმის უმეტესობა, თუმცა არა $^{2}/_{3}$ უმეტესობა, ერგო.

გ.

რუსეთის ქრონიკა

◆ ეკატერინოსლავიდან „ნოვოსტი“-ს დეპეშით ატყობინებენ: 6 ნოემბერს ოლქის სასამართლო დაიწყებს ტიხორეცკის მუშების საქმის განხილვას. ეს მუშები პასუხის გებაში არიან მიცემულნი ზოლოტოვას სიკვდილის გამო არეულობის მოხდენისათვის. ბრალდებულთ იცავენ შემდეგი ვექილები: პეტერბურგისა—ბერნშტეინი და ისაჩენკო, მოსკოვისა—სტალი, ხარკოვისა—შიდლოვსკი და კულიკოვი, ვორონეჟისა—კარიაკინი, როსტოვისა—გოროდისკი და მოშინსკი, ადგილობრივი—ბახჩისარაიცევი, ვოლლიკი და შირსკი. საქმის განხილვა ხალხის დაუსწრებლად სწარმოებს.

◆ არდატოვის სატუსაღოში ტუსაღებს ხშირად დამპალ ხორცს აძლევდნენ თურმე, რისთვისაც დიდი უკმაყოფილება განუცხადებიათ. ხორცის შესამოწმებლად მოუწვევიათ საერობო ექიმი შეინინი. ექიმის გასინჯვით ხორცი უვარგისი და გახრწნილი გამომდგარა.

◆ როგორც ციმბირის გაზეთები იუწყებიან, ირკუტსკის გენერალ-გუბერნატორი აპირებს შუამდგომლობის აღძვრას აღმოსავლეთ ციმბირში ერობის შემოღების შესახებ. ამ აზრით იმას თავის მოხელეთათვის მიუნდვია ციმბირისათვის საერობო დებულების პროექტის შედგენა.

◆ მოსკოვში ეხლახან დაარსდა ფაბრიკის ექიმთა საზოგადოება, რომელსაც მიზნად აქვს: შეისწავლოს და დაამუშაოს საფაბრიკო მედიცინის მეცნიერულ-საექიმო და სანიტარული საკითხები; შეისწავლოს პირობები, რომელთა გავლენით ფაბრიკებსა და ქარხნებში ჩნდება და ვრცელდება სხვა და სხვა გვარი გადამდები ავადმყოფობა და სენი და გამოსძებნოს ღონისძიებანი ავადმყოფობის თავიდან ასაცილებლად; შეჰკრიბოს და დაამუშაოს სასტატისტიკო მასალები, რომელნიც შეეხებიან ფაბრიკის მცხოვრებთა შორის დაბადებისა, ავადმყოფობისა და სიკვდილის შემთხვევებს; გაავრცელოს ფაბრიკის მცხოვრებთა შორის საჯარო ლექციების კითხვითა და პოპულიარულ წიგნების გამოცემით ჰიგიენური ცნობები; ხელი შეუწყოს საექიმო და სანიტარულ ნაწილების დაარსებას ფაბრიკებსა, ქარხნებსა და ყოველ გვარ სამრეწველო დაწესებულებებში.

◆ პეტერბურგის ქალაქის უფროსის კლეიგელსის განკარგულებით საიდუმლო პოლიციისა და ქალაქის პოლიციის მოხელეთ ღამით დაუვლიათ ყველა ღამის თავშესაფარი, საჩაიე დუქნები, ბაღები, არხები და სხვა ადგილები. სულ მთელი ღამის განმავლობაში ეჭვით დაუჭერიათ 2 ათას 53 კაცი. ამათ შორის შემოწმების შემდეგ ათას კაცამდე ადმინისტრატიულის წესით პეტერბურგიდან გაგზავნილნი და თავის ნებით დაბრუნებულნი და რამდენიმე უბილეთო აღმოჩენილა. ყველა ესენი დასჯილნი იქნებიან ადმინისტრატიულის წესით.

ტერ-დავით იარალიანცი

9 ნოემბერს, ქუთაისის სომეხთა ეკლესიაში გარდახდილ იქმნა ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სომეხთა დეკანოზის ტერ-დავით იარალიანცის სულის მოსახსენებლად, რომლის გარდაცვალებამ და დასაფლავებამ რაღაც მიზეზის გამო ისე ჩუმად ჩაიარა, რომ, იქმნება, ბევრს არც კი გაეგოს ეს ამბავი. ამიტომ საჭიროდ ვსთვლი—თუმცა დაგვიანებული კია,—მოკლედ მაინც გავაცნო მკითხველებს ამ ადამიანის ცხოვრება და მოღვაწეობა.

დეკანოზი ტერ-დავით იარალიანცი იყო ცნობილი მღვდლის შვილი; დაიბადა 1835 წელს. თბილისის სომეხთა ნერსესიანის სემინარიის გათავების შემდეგ, 1860 წელს ის აკურთხეს მღვდლად და განაწესეს გორის სომეხთა ეკლესიაზე, სადაც მასწავლებლობასაც ასრულებდა სამრევლო სკოლაში. 1862 წელს მთავრობის განკარგულებით მ. ტერ-დავითი გადაყვანილ იქმნა ქუთაისის გუბერნიის სომეხთა ეკლესიების ბლადოჩინად. ქუთაისში ყოფნის დროს განსვენებული დიდ ყურადღებას აქცევდა მოზარდ თაობაში სწავლა-განათლების გავრცელებას; ქალაქებსა და დაბა-სოფლებში აარსებდა სკოლებს, იძენდა მათთვის საკუთარ შენობებს, აშენებდა ეკლესიებს და სხ. მისი დაუღალავი შრომით აშენებულია ქუთაისის სომეხთა სასწავლებლის შენობა, რომელიც 30,000 მანეთამდე დაჯდა. მან გახსნა სომხებას სკოლები ჩხარს, საჩხერეს და ბათომში. ჩხარის და ლაილაშის სომხებს აუშენა ეკლესიები. დიდი დვაწლი მიუძღვის ბათომელ სომხების უზარმაზარ სკოლის შენობის აგებაზედაც. მ. ტერ-დავითი, როგორც გამოცდილი მოძღვარი, ხშირად ინიშნებოდა მთავრობისაგან სასულიერო და საეკლესიო საქმეების გამომძიებლადა და ვექილად და ყოველთვის პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას, რისთვისაც დიდი მადლობა ჰქონდა დამსახურებული როგორც მთავრობის, ისე საზოგადოებისა. 44 წლის განმავლობაში მას მრავალჯერ მიუღია მადლობის კონდაკები სომხის კათალიკოსისაგან და ნაბოძები ჰქონდა ბევრი ჯილდო. მ. ტერ-დავითი არ იყო ისეთი მღვდელი, რომელსაც თავის მოვალეობად მიაჩნია მხოლოდ მღვდელმსახურება ასრულოს და ყოველ საერო საქმეს ზურგი შეაქციოს; არა, ის იყო ნამდვილი ადამიანი. ყოველ საზოგადო საქმეში მ. ტერ-დავითი მხურვალე მონაწილეობას იღებდა. 18 წლის განმავლობაში ის ითვლებოდა საპყრობილის დირექტორად; თორმეტ წელს განუწყვეტლივ ემსახურებოდა ქალაქის თვითმმართველობას, როგორც საბჭოს ხმოსანი. არ გაიმართებოდა ქუთაისში არც ერთი საქველმოქმედო საღამო, სეირნობა თუ სხვა რამ, რომ მ. ტერ-დავითი ნივთიერად არ დახმარებოდა.

როგორც კერძო კაცი, მ. ტერ-დავითი იყო ძლიერ ტკბილი მოსაუბრე, ენა-მახვილი და მჭევრმეტყველი. ვის არ გაუგონია მისი ტკბილი ქადაგება სომხების ეკლესიაში? ქადაგების დროს ის არ ეძებდა მაღალ, ორსართულიან სიტყვებს, არ ცდილობდა ქადაგების გარეგან სიმშვენიერეზედ; არა, ის ქადაგებდა სულ უბრალოდ, მარტივად; მაგრამ ამ უბრალო ქადაგებაში იმდენი გრძნობა, იმდენი ძალა იხატებოდა, რომ არა ერთსა და ორს მაყურებელს თვალს ცრემლი ადგებოდა.

დონ-ვალიანი

წერილი ბათუმიდან

ახალი საპატიმრო.—კურზალი.—უბინაოთა თავშესაფარი.—გადასახადი საქონელზე.—ახალ ბეითლის მოწვევის საქმე.

დღევანდელი ბათუმი მეტად მიყრუებული და მიწყნარებულია. წინანდელ მოძრაობისა და სიცოცხლის ელფერი შესამჩნევად მიმქრალებულია. სიცოცხლის ნიშან-წყალი ისევ ქალაქის თვით-მმართველობას თუ ეტყობა. ამ ხანად ქალაქს რამდენიმე დიდი საქმე აქვს გასაწყობრიგებელი. ამათ შორის უმთავრესი ახალ საპყრობილისათვის შენობის აგებაა. ძველი საპყრობილე მოთავსებულია კერძო კაცის, ბ-ნ ბახმეტიევის, შენობაში. საქირაო ვადა თავდება გაისს, 1904 წელს. შენობა მეტად ვიწროა. იგი აშენებული იყო მხოლოდ ოთხმოც პატიმრისათვის, დღეს-კი თავს იყრის ორასამდე. ამასთანავე ქალაქი გაიზარდა და საპყრობილე შუაში მოჰყვა. იმის გვერდით იმყოფება ქალთა და ვაჟთა გიმნაზიები. ქალაქმა მარტში უმაღლეს მთავრობისაგან უკვე მიიღო წინადადება ახალ შენობის აგების შესახებ. პეტერბურგში ყოფნის დროს ქალაქის მოურავს, თავ. ი. ანდრონიკაშვილს საპყრობილეთა უმთავრესი გამგეობა შეჰპირებია დახმარებას სესხის მიცემით, თუ ქალაქი იკისრებს ახალ საპყრობილისათვის ახალი შენობის აგებას თავის მიწაზე. გუბერნიის საპყრობილეთა კომიტეტმა აცნობა როგორ უნდა მოეწყოს ახალი საპყრობილე. სხვათა შორის, უნდა გაიმართოს სახელოსნოები; ზოგი დაბლა სართულში, ზოგი თვით პატიმართა სენაკებში, რისთვისაც საწოლები დღისით კედლებზე უნდა ჩამოიკიდოს ხოლმე. უნდა გაიმართოს ცალკე საავადმყოფო. გამგეობამ უკვე შეადგინა გეგმა შენობისა. შენობა დაჯდება 80 ათას მანეთად.

ქალაქის გამგეობა სცდილობს აგრეთვე კურზალის გამართვას ბულვარში. თავისდა თავად კურზალის წინააღმდეგ შეიძლება ბევრი რამ ითქვას და კიდევაც ამბობენ, ნამეტნავად ისინი, ვინც ამას წინად გამგეობას ჰკიცხავდნენ, ამავე კურზალისთვის არა მეცადინეობსო. ჩემის აზრით, კურზალი იმ სათეატრო დარბაზით, რომელიც შიგ გაიმართება, მეტად საჭირო იქმნება ქალაქისათვის. ბათუმს დღეს თეატრი არა აქვს, თუ თეატრად არ მივიჩნევთ იმ სარაიას, რომელშიაც დღეს იმართება წარმოდგენები. რიგიანი თეატრის უქონლობა მეტად დიდ დასაკლისს შეადგენს ბათუმისთვის და გამგეობა ძლიერ დაავალებს ქალაქს, თუ თეატრს გამართავს კურზალში. საქმე მით უფრო გასაბედია, რომ ეს გამართულობა თავის თავს სულ მოკლე ხანში გაინაღდებს და მერმისს შემოსავლიან წყაროდ გადაიქცევა. დღევანდელი საცოდავი „რკინის თეატრი“ სულ უკანასკნელი 3—4 ათას მანეთს წმინდა მოგებას აძლევს პატრონს. ახალი თეატრი ორჯელ მეტს მისცემს ქალაქს.

გეგმა კურზალისა უკვე შეადგინა ინჟ. სიმონსონმა. დაჯდება 70 ათას მანეთად. გამგეობას აზრადა აქვს ამისთვის ქალაქის რომელიმე უძრავი ქონება დააგირაოს ბანკში. მცირედ ნაანგარიშევი წლიური შემოსავალი დათვლილია შვიდი ათას მანეთამდის. ბევრი იმასაც ამბობს, რომ რა დროს კურზალია, როცა ქალაქს ღარიბთათვის სადგომები არა აქვსო. საქმე ის არის, რომ კურზალი ქალაქისაგან არავითარ ხარჯს არ თხოულობს, იგი, პირიქით, შემოსავლიან წყაროდაც გარდაიქცევა. რაც შეეხება უბინაოთ, გამგეობას ხელთა აქვს შედგენილი გეგმა ქალაქის თავშესაფარ შენობისა. შენობა დიდი და ძლიერ კარგად მოწყობილი იქმნება. საბჭომ ნება დართო გამგეობას, ნება-რთვა აიღოს ქალაქის რომელისამე უძრავ მამულის დაგირავებისათვის და შემდეგ კიდეც დააგიროს იგი საჭირო ფულის მოსაპოვებლად.

რადგან სასანიტარო-საბეითალო წესდებით გადაწყვეტილია შემოღება სახელმწიფო გადასახადისა ყოველ გაყიდულ წვრილფეხზე (თხა, ცხვარი, ღორი), ქალაქის ბეითალმა ამისდა გასაწესრიგებლად გამგეობას წინადადება მისცა, დაარსოს ორი ისეთი ბაკი, სადაც უნდა თავს უყრიდნენ ამ გასასყიდ წვრილ-ფეხ პირუტყვს. ერთი ბაკი უნდა მოეწყოს ქალაქის საყასბოსთან, მეორე, მდინარე ანგარისთან. საბჭომ საკმაოდ სცნო მხოლოდ ერთი ბაკი საყასბოსთან და დაადგინა, რომ ყოველ მირეკილ წვრილ-ფეხზე გადასახადი ყოფილიყო შაური, ხოლო მსხვილ ფეხა პირუტყვზე—ორი შაური. რადგან წლის განმავლობაში ბათუმში იკვლება 11 ათასამდე მსხვილი და 15 ათასამდე წვრილი საქონელი, ქალაქს შემოუვა 1850 მანეთამდე. პირველ წელიწადს მოსალოდნელი ხარჯი ამოდენავე იქმნება. შემდეგში ქალაქს 1500 მანეთამდე წმინდა შემოსავალი ექმნება. საბჭომ მიიღო გამგეობის წინადადება, მაგრამ ქალაქის საქმეთა საკრებულომ არ შეიწყნარა ეს დადგენილება და არ დაამტკიცა იგი. საბჭო შუამდგომლობს, სადაც ჯერარს, რომ ნება დაერთოს ამ გადასახადის შემოღებისათვის. რამდენიმე სიტყვა ბეითალ ფარცვანიძის მოწვევის შესახებ ქალაქის ბეითლად. ეს საქმე სალაპარაკო საგნადაა დღეს გამხდარი ბათუმში და ამას წინად თვით საბჭოშიაც სხდომის დროს ინციდენტი გამოიწვია. მოგვყავს ეს ამბავი ისე, როგორც თვით ქალაქის მოურავმა მოახსენა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე.

ყოფილმა ქალაქის ბეითალმა ბ-ნმა ცურკანმა ქალაქს აცნობა ენკენისთვეში, რომ იგი საოლქო ბეითლად დაინიშნა. ენკენისთვისავე 12-ს გამგეობამ გადაარჩია ის რამდენიმე კანდიდატი, რომელთაც ჰსურდათ ბათუმში ბეითლობა, და ერთხმად გადასწყვიტა, ამ ადგილზე მოიწვიოს სახელმწიფო სამსახურში ბაქოს გუბერნიაში მყოფი ბეითალი მიხ. ფარცვანიძე. საზოგადო საგუბერნიო დაწესებულებათა მე-286 მუხლის თანახმად, ეს დადგენილება ქალაქის მოურავმა გუბერნატორს წარუდგინა. ზემოხსენებული მუხლი გუბერნატორს უფლებას აძლევს, ნება არ დართოს მოხელის გადაყვანაზე ან ახლად დანიშვნაზე, თუ იგი ახლად დანიშნულს კეთილ-საიმედო კაცად არა სცნობს.

გუბერნატორმა შეატყობინა მოურავს, რომ ფარცვანიძის დამტკიცება ქალაქის ბეითლად შეუძლებელიაო. საბჭომ დიდის უმეტესობით (18 წინააღმდეგ 8-სა) გადასწყვიტა, გაასაჩივროს გუბერნატორის განკარგულება სენატის წინაშე.

წერილი თელავიდან

აქაური ნოქრები და ხელოსან-შეგირდები.

ნოქარ-შეგირდები ჩვენშიაც, როგორც ყველგან სხვაგან, დიდ ჯაფა-წვალებაში არიან. აიღეთ აქაური დერციკები, ხარაზები, მჭედლები და სხვ. დილით ადრიანათ აღებენ დუქნებს. დუქნის გაღებამდე იკრიბებიან ნოქარ-შეგირდნი ხელში კომბალით, რადგან ღამე მოუხდებათ შინ დაბრუნება. დაიწყებენ მუშაობას და შინ წასვლამდე განუწყვეტლივ საქმეზე არიან. არც შესვენებაა იმათთვის, არც სადილობა. ზოგნი თან საქმეს აკეთებენ და თან პურსა ჰსჭამენ. ასე მუშაობენ სადამომდე. შებინდებისას არაფერი ეტყობათ, ისევ განაგრძობენ მუშაობას. მჭედლები თუ დაჰკეტავენ ხოლმე, ესეც იმისთვის, რომ დილის 4—5 საათზეა მოსული, უნდა წავიდეს, პატარა შეისვენოს და ისევ დამიანად მოვიდეს გახურებულ ქურასთან კვერის საცემად. დანარჩენი-კი აანთებენ ლამფებს, შემოუსხდებიან გარს და მუშაობენ ღამის 9—10 საათამდე. ვინც ამაზე ადრე ჰკეტავს, საქმეს შინ ატანს გასაკეთებლად. ამათთვის უქმე არ არსებობს, დუქანში უნდა იყვნენ. მარტო კვირაობით არიან თავისუფალნი, მაგრამ ზოგიერთი დილით მაინც უნდა მივიდეს, რადგან ხშირად კვირაობითაც აღებენ დუქნებს. მიკიტნის დუქნებში მოსამსახურენი-კი ამასაც მოკლებულნი არიან. მთელ წელიწადში ორი დღე აქვთ თავისუფალი,—წყალკურთხევა და აღდგომა. არც მუშაობის ჯილდოს იღებენ შესაფერს. ამაზე რისამის თქმა ადრეც არის, რადგან მუშა ხელი სჭარბობს სამუშაოს. უპირველეს ყოვლისა საჭიროა სამუშაო დრო შემოკლდეს, ღამე მუშაობა მოისპოს და უქმეობით განთავისუფლდნენ. იქმნება ბევრს ეგონოს: საქმე იმდენი აღარ გაკეთდება და ხაზეინ-ოსტატები იზარალებენო. სრულიადაც არა. თუ მეტ თავისუფლებას მისცემენ, ღამე აღარ ამუშავებენ, დასვენებული ხელოსნები და შეგირდები ახალის ჯან-ღონით მარდად და მეყაითად გააკეთებენ იმ საქმეს, რასაც ღამის 10 საათამდე ზლაზვნით, მთქნარებით და ზანტად აკეთებენ. ამას გარდა, კვირაობით, როცა თავისუფალნი არიან, საჭიროა რამე გასართობი თუნდ სახალხო კითხვები გაიმართოს და გონებრივი საზრდო მიეწოდოს. ეს საქმე, ჩვენის აზრით, საკვირაო სკოლასთან უნდა მოეწყოს და მასთან მჭიდრო კავშირი ჰქონდეს.

—შვილი.

სასამართლო

I

ბათუმელ მუშების საქმე

გუშინ, 11 ნოემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე ბათუმში როტშილდის ნავთის ქარხნების მუშებად ნამყოფთა სტეფანე ამბარცუმოვისა, სამსონ გაგუასა, თეოფილე დოდაბერიძისა, მიხეილ ხირიმიანცისა, გერონტი კალანდაძისა, გერასიმე თოდუასა, თეოფილე თევზაძისა და პერტაისი, რომელთაც ჰბრალდებოდათ 1902 წელს, 9 მარტს, ბათუმში უწესოების მოხდენა და მთავრობის მოხელეთათვის თანამდებობის აღსრულების დროს წინააღმდეგობის გაწევა.

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესიამ ეს საქმე განიხილა ბათუმში ამ წლის გაზაფხულზე, დამნაშავედ იცნო ბრალდებულნი და გადაუწყვიტა სტეფანე ამბარცუმოვს 3 თვით, სამსონ გაგუას—6 თვით, გიორგი კალანდაძეს—2 კვირით და დანარჩენთ ორ-ორის თვით საპყრობილეში დაპატიმრება უფლება-დირსებათა ჩამოურთმევლად. პალატაში ბრალდებულთ იცავდნენ მოსკოველი ნაფიცი ვექილი სტალი, ნაფ. ვექილის თანაშემწე დ. ნ. ანდრონიკაშვილი და ნაფ. ვექილი ხომენტოვსკი. საქმე ხალხის დაუსწრებლად გაირჩა. პალატამ დამნაშავედ იცნო ზემოდ დასახელებული ბრალდებულნი და შეუცვლელად დაამტკიცა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენი.

II

ხვალ, 13 ნოემბრისათვის, ტფილისის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნულია საქმე ამიერ-კავკასიის რკინის გზის სახელოსნოების მუშებად ნამყოფთა ივანე მანჯგალაძისა, სელივან სტურუასა, პავლე სტურუასა, მიხეილ ბოტყოველისა, სტეფანე ბონდარენკოსა, ალექსანდრე კახაძისა, თედო ნორაკისა, ვასილ სანაქოევისა და ივანე ფედორენკოსა, რომელთაც ჰბრალდებათ მდგომარე წლის 16 ივნისს პოლიციის მე-10 ნაწილში მუშათა უწესოებაში მონაწილეობის მიღება და მთავრობის მოხელეთათვის სამსახურის აღსრულების დროს წინააღმდეგობის გაწევა. ეს საქმეც ხალხის დაუსწრებლად გაირჩევა. დაბარებულია 80 მოწამე. ბრალდებულთ დაიცავენ ვექილები: ნიჟეგოროდელი კირიაკინი, მოსკოველი სტალი, ტფილისელნი ნ. ელიავა, თავ. ი. ბარათაშვილი, გ. რცხილაძე, ნიკოლაი და კ. ჯაფარიძე.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში შემდეგ განმარტებას ბ-ნ „გან“-ის წერილების შესახებ, რომელიც ნოემბრის 6-ასა და 9 რიცხვის ნომრებში იყო დაბეჭდილი.

ბ-ნი „გან“-ი ამ წერილებში გამოდის ტფილისის საბჭოს იმ ხმოსანთა ჯგუფის წინააღმდეგ, რომელსაც იგი „24-ის ჯგუფს“ უწოდებს, ან კიდევ მეორე ადგილას „ოპოზიციის ძველ ჯგუფსა“, ღალატობასა და გაცემას სწამებს და ამათი შედეგი ის იყო, რომ გამგეობის წევრობაზე ჯგუფის კანდიდატი ს. თ. ჭრელაშვილი გააშავეს, ამოირჩიეს-კი ლ. ფ. ტიგრანოვიო.

რასაკვირველია, ჯგუფს რომ თავისს კანდიდატად ს. თ. ჭრელაშვილი დაესახელებინა და მერე შავი კენჭები მიეცა, ამასთანა საქციელს სხვა სახელს ვერ მოვუძებნიდით, როგორც „ღალატობა“ და „გაცემა“. ნამდვილად-კი საქმე სულ სხვა ნაირად მოხდა. „24-ის ჯგუფის“ კერძო კრებაზე, რომელსაც 15 ხმოსანი დაესწრო, ბარათებით ხმები აჰკრიბეს და აღმოჩნდა შემდეგი: ტიგრანოვი დაასახელა 7 კაცმა, ჭრელაშვილი 5-მა და ხატისოვი—3-მა. იმის გამოსაკვლევად, თუ ხატისოვი უარს განაცხადებდა, ვისკენ გადავიდოდა ამისი ხმები, ხელ-ახლა დაასახელეს ბარათებით და აღმოჩნდა: ჭრელაშვილი 8 კაცმა დაასახელა და ტიგრანოვიც 7-მა. (მაშასადამე, ჭრელაშვილმა მიიღო თავისი 5 ხმა და 3-იც ხატისოვისა).

ჯგუფს ასეთი წესი აქვს მიღებული: ჯგუფისათვის მხოლოდ ისეთი დადგენილებაა სავალდებულო, რომელსაც 2/3 დამსწრეთა მოისურვებს და, რადგან ამ შემთხვევაში კანდიდატებს ასეთი სავალდებულო უმრავლესობა არ მიუღიათ, ჯგუფმა ამითივე აღნიშნა, რომ მას თავისი კანდიდატი არა ჰყავს და ყოველს წევრს ჯგუფისას ისე შეუძლია მოიქცეს, როგორც მას ჰნებავს. ამასთანავე ისიც იყო დადგენილი, რომ ამ საკითხს კიდევ დავუბრუნდეთ მას შემდეგ, როცა საერთო კერძო კრება ხმოსნებისა გამოარკვევს ჭრელაშვილისა და ტიგრანოვის შანსებსაო. ამ უკანასკნელ კრებაზე ს. თ. ჭრელაშვილი 3-მა კაცმა დაასახელა.

ამ გვარად, ს. თ. ჭრელაშვილს შეეძლო ესაყვედურა, ჯგუფმა, რომელმაც კრებაზე 5 ხმა მომცა (ხატისოვის ხმებზე არას ვამბობ, რადგან საერთო კრებაზე ექიმ ხატისოვსაც ჩამოუტარეს კენჭი), საერთო კრებაზე მხოლოდ 3-ის ხმით დამასახელესო, მაგრამ ესეც სულ უბრალოდ აიხსნება: საერთო კრებას არ დასწრებია ზოგი იმ ხმოსანთაგანი, რომელიც ჯგუფის კერძო კრებაზე იყო და ჭრელაშვილის მომხრედაც ითვლებოდა. ეს ხმოსნები რომ საერთო კრებას დასწრებოდნენ, უეჭველია, ბ-ნი ჭრელაშვილი ყოველს შემთხვევაში იმ ხმებზე ნაკლებს არ მიიღებდა, რამდენიც ჯგუფის კრებაზე მიიღო.

ამ ნაირად, ს. თ. ჭრელაშვილს, როგორადაც ლ. ფ. ტიგრანოვსა, რომელიც ჯგუფის კანდიდატად გამოცხადებული არ ყოფილა, იმედი უნდა ჰქონოდა, რომ არჩევის დროს საბჭოში ჯგუფი მხოლოდ 5 ხმას მისცემდა და, თუ ექიმი ხატისოვი უარს გამოაცხადებდა კენჭის ჩამოტარებაზე, ამ შემთხვევაში არა ნაკლებ 8 კენჭისა უნდა მიეღო. ბარათებიცა და კენჭიც ჭრელაშვილმა მიიღო გაცილებით მეტი, ამიტომაც არავითარს „ღალატობა“-სა და „გაცემა“-ზე ლაპარაკი არ უნდა იყოს. „24-ის ჯგუფს“ თავისი კანდიდატი არა ჰყოლია. თვითოეულმა წევრმა ამ ჯგუფისამ, რომელთაც კერძო კრებაზე ბ-ნი ჭრელაშვილი დაასახელეს, უეჭველია თეთრი კენჭი მისცეს მას არჩევის დროსაც.

ხმოსანი ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი

დაბა-სოფლები

ს. ამაღლება (გურია). ჩვენც ისევ ის უნდა ვთქვათ, რაც არა ერთხელ თქმულა და დაწერილა. ერთი წელი იქნება, ისე გაზეთის ნომერს ვერ აიღებს კაცი ხელში, რომ ქვემო იმერეთის რომელსამე საზოგადოებიდან არ იყოს გოდება, შიმშილი მოგველისო. ისედაც მოუსავლობა იყო და რაც მოვიდა სიმინდი, სულ გაანადგურა პეპელამო. ჩვენი საქმეც ასეა. არსაიდან შველა და დახმარება არა სჩანს. არავინ ყურადღებას არ აქცევს ამ ჩვენ მომავალ შიმშილს .

ამას წინად ჩვენ სოფელს ერთი უცნაური კაცი ესტუმრა, რომელიც თავის თავს წმინდათ უწოდებს. მე თვით ღმერთანაც ვიყავ სამი დღე მკვდრად ვიყავი და საიქიო ვნახეო, სხვათა შორის, ღმერთს მოითმინე ჰქვიან სახელადაო, მე იქ ექიმობა და მარჩიელობა ვისწავლე და ვისაც ავადმყოფი გყავთ, მცირე სასყიდლით გავკურნავო, ეუბნებოდა ეს ვაჟბატონი ხალხს. სასალდათო ყმაწვილებსაც კი ურჩია, პირობა მომეცით ასი მანეთისა და მე ისეთ წამალს ვაგიკეთებთ, რომ არ წაგიყვანონო. ზოგი მართლაც მოატყუა ამ გაიძვერა კაცმა. საბედნიეროდ, გამოჩნდა ერთი-ორი ფხიზელი კაცი, რომელთაც დაიბარეს პოლიცია, დაიჭირეს ეს ახალ მოდის „წმინდანი“ და ჩააბარეს ბოქაულს.

სოფ. ვარევანი (ჯავახეთი). ჯავახელების ავლა-დიდებას შეადგენს პურის მოსავალი და ცხვრის მოშენება. ერთმაცა და მეორემაც წელს ძალიან გვისუსტა. დიდის ზამთრისა და ცივის გაზაფხულის მიზეზით ცხვარს შესცივდა და ბევრი გასწყდა. ჯეჯილებიც გაცრუვდა. ძალიან ადრე აცივდა და თოვლიც გვესტუმრა. ეტყობა, ზამთარიც ისეთი ცუდი იქნება, როგორიც წარსულს წელს იყო. საქონლის ჭირმაც გაგვიჭირა საქმე, თუმცა მარტო ორ-სამ სოფელში იჩინა თავი და იქაც მალე გადაჰკვეთა, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ბეითლებმა მაინც ყველა სოფლები შეჰკრეს და არსად ხარს არ გვაშვებინებენ, რომ ცოტაოდენი შეშა საიდანმე მოგვეტანა. ხალხი სულ უშეშოდ დარჩა.

სწავლა-განათლებით მთელი ჯავახეთი ძალიან ჩამორჩენილია. ჩვენს სოფელს ვარევანში არასოდეს სკოლა არა ყოფილია. მხოლოდ მ. დავით გოცირიძის მეოხებით შესდგა განაჩენი საეკკლესიო სკოლის დაარსებისა. ჩვენს სოფელში სცხოვრობს სამი რჯულის ხალხი: მართლმადიდებელნი, სომეხ-კათოლიკენი და მაჰმადიანები. გოცირიძემ ყველანი შეაერთა სკოლის საქმეში და ყველას მიაღებინა მონაწილეობა.

გიორგი ბეგი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 ნოემბერი

პეტერბურგი. ხელმწიფე დედოფლის ალექსანდრა თეოდორეს ასულის ჯანმრთელობის ბიულეტენი: „ხელმწიფე დედოფალს ალექსანდრა თეოდორეს ასულს ღამე დროგამოშვებით ეძინა. გუშინ საღამოთი ტემპერატურა 37,4; მაჯა 70. დღეს დილით ტემპერატურა 37,1; მაჯა 68. მარჯვენა ყურში ანთების პროცესი ძლიერ ნელა მიმდინარეობს. თვითგრძნობიერება საკმაოდ კარგი აქვს. მადა უმჯობესდება“.

არიოლი. კომისიამ პოეტის ტიუტჩევის დაბადებიდან ასის წლის შესრულების გამო დაადგინა, გადაიხადოს პანაშვიდი 23 ნოემბერს და დანიშნოს პოეტის სახელი პატივსაცემლად სათავად-აზნაურო დარბაზში საჯარო სადღესასწაულო სხდომა, რომელზედაც წაიკითხავენ ადრესებს, წარადგენენ გვირგვინებს და წარმოსთქვამენ სიტყვებს.

პავლოგრადი. ფინანსთა მინისტრმა ნება დართო, დააარსონ აქ საქალაქო ლომბარდი 10 ათას მანეთის თანხით.

სიმფეროპოლი. მოკროუსოვმა საგუბერნიო საერობო კრებას წარუდგინა მოხსენება. მოხსენება შეეხება ხილის ხეების წამლობის ახალ საშუალებას. ამ წარმოებას განსაცვიფრებელი შედეგი მოსდევს, რაიცა აუარებელის მაგალითებით მტკიცდება.

ბუენოს-ჰაირესი. საზღვაო მინისტრმა მიიღო ოფიციალური დეპეშა, რომ პოლიუსისაკენ წასულის ექსპედიციის მხსნელი გემი „ურაგვაი“ რიო-პალეგოსში მოვიდაო. გემს ნორდენშილდი და იმისი ოფიცრები ლიუდოვიკფილიპეს მიწაზე უნახავს, ხოლო დანარჩენი ნაწილი ექსპედიციისა კუნძულ სეიმურზე. შარკოს ექსპედიცია შეაჩერეს.

სტამბოლი. მაკედონიის მთავარ-ინსპექტორს ხილმი-ფაშას თავისი რეზიდენცია მონასტირიდან სალონიკში გადააქვს.

11 ნოემბერი

ბიზერტა. კრეისერი „დმიტრი დონსკოი“ მოვიდა.

სოფია. 12 ნოემბერს საერო კრებაზე კამათი დაიწყება სეფე-სიტყვის პასუხის შესახებ.

პიზა. აქ მოვიდნენ ინგლისიდან მეფე და დედოფალი და აქედან სანროსორთს გაემგზავრნენ.

ბერლინი. ცნობა, რომ რუსეთ-გერმანიის სავაჭრო ხელ-შეკრულობის თაობაზე ბერლინში გამართული მოლაპარაკება დასრულდება მიმდინარე კვირასო, თუმცა შეიძლება ნამეტან ოპტიმისტურად ჩაითვალოს, მაგრამ მაინც შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ მოლაპარაკება კარგად მიდის.

პარიზი. გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს დელკასემ ილაპარაკა ბალკანეთის საქმეების შესახებ და სთქვა, რომ პორტა ძლიერ უსამართლოდ მოიქცევა, თუ ის რეფორმების განხორციელების საქმეში რუსეთისა და ავსტრიის კონტროლს არ მიიღებს. საფრანგეთმა ყოველ შემთხვევაში ორივე სახელმწიფოს მხარი უნდა დაუჭიროს რეფორმათა პროგრამის განხორციელების საქმეშიო. სამედიატორო სასამართლოს შესახებ საფრანგეთ-ინგლისის შეთანხმებისა გამო მინისტრმა სთქვა, ამ საკითხს დიდი მნიშვნელობა არ უნდა მივცეთ და არ უნდა მოვითხოვოთ, რომ ამ შეთანხმების ძალით გადასწყდეს ყოველგვარი საკითხიო.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 7 ნოემბერი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,80
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,75
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,62½
ბირჟის დისკონტი	5-6½%
4% სახელმწიფო რენტა	99½ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	95⅛ მყიდ.
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	459½ გაყ.
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	348 „
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	295 „
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლ. იმავე საზოგად..	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	92⅜ „
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	234 „

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 4 ს. 30 წ. (5 ს. 28 წ.); 2) საფოსტო № 4 ღამის 12 ს. 10 წ. (1 ს. 8 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 36 წ. (7 ს. 34 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 30 წ. (6 ს. 28 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.); 2) საქონლ.-სამგზ. № 90/91 შუადღის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს) საღამოს 7 ს. 4 წ. (8 ს. 2 წ.); საფოსტო № 3 საღამოს 4 ს. 40 წ. (5 ს. 38 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.).

ბათუმიდან: საფოსტო № 4 დღის 11 ს. 25 წ. (12 23 ს. წ.); სამგზავრო № 6 ღამის 9 ს. (9 ს. 58 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); საქონ-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერჯელ კვირაში) ღამის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.); 2) საფოსტო № 3 ღამის 10 ს. 30 წ. (11 ს. 28 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 50 წ. (1 ს. 48 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 3 ს. 10 წ. 4 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. 34 წ. (9 ს. 32 წ.).

შორაპნამდე: სამგზ. № 10 ღამის 12 ს. 7 წ (1 ს. 5 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სამგზ. № 103 ღამის 3 ს. (3 ს. 58 წ.); 2) შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.).

ბათუმისაკენ: 1) სამგზ. № 101 ღამის 1 ს: (1 ს. 58 წ.); 2) სამგზ. № 107 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 3) სამგზ. № 109 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

შორაპნამდე: № 11/12 ნაშუადღევის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

განცხადებანი

ამერიკულ ვაზის სანერგეში

კლო-ყგურულში

დაიწყო გაყიდვა **დამყნილ** დაფესვიანებულ ვაზებისა. იყიდება აგრეთვე **ვაზის რქები** საუკეთესო ჯიშისა, როგორც ადგილობრივი, ისე ბორდოსი, ბურგუნდისა, შამპანიისა, რეინისა და სხვა. მრავლად არის როგორც რქა, ისე დაფესვიანებული გიბრიდი, აგრეთვე ამერიკული ჯიშები სამყნობად და დედა ვაზისთვის, მშრალ, ნოტიო, მაგარ, მძიმე და სხვა ნიადაგისთვის. სანერგეში 700 სხვა-და-სხვა ჯიშის ვაზია. პრეისკურანტები და ახსნა უსასყიდლოდ. ადრესი წერილებისა და დეპეშებისათვის. В. Тьебо Кутаисъ. (10—6.—3)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო.	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა.	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო.	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
სამზარეულო, ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
ალა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. ვ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25

ესევე წიგნები იყიდება **ქუთაისში**, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას-დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

საპონი ჰოლლენდერ

ვაზელინისა სატუალეტო

საუკეთესო პირისათვის. ნაჭერი 30 კ.

ვისაც ჰსურს ნამდვილი ვაზელინის საპონი მიიღოს, უნდა მოიკითხოს მხოლოდ საპონი **ჰოლლენდერ** ვაზელინისა სატუალეტო.

ისყიდება იმპერიის ყველა აფთიაქსა და სააფთიაკო მაღაზიებში. სავაჭრო სახლი **„პარფუმ. ლაბორატორია ი. ჰოლლენდერ“**, რაზიზჟაია ქ. 13. (Разъѣзжая ул., 13). (4—6.—1)

Дозв ценз. Тифлисъ 11 ноября 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ისა, (Электропеч. Груз. Изда.і Т—ва.)